

პროფესიული განათლების ტრანსფორმაციის პროგრამა

I. პროფესიული განათლების სფეროში არსებული მდგომარეობა.

1.1. პოლიტიკა პროფესიულ განათლებაში.

ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე პროფესიული განათლების პოლიტიკის მიმართ წლების განმავლობაში არ ვლინდებოდა სისტემური და კონსტრუქციული დამოკიდებულება. ამის შედეგად ბოლო ათწლეულის სხვა და სხვა ეტაპზე ის ხასიათდებოდა პოლარულად განსხვავებული მიდგომით:

- ▶ პროფესიული განათლების, როგორც სახელმწიფო ინსტიტუციის გაუქმების მცდელობა;
- ▶ განათლების ამ სფეროს მიმართ სახელმწიფოს ძირითადი ვალდებულებების უარყოფა, სისტემის კონსერვაციის და იმ დროისთვის არსებული ქონების გასხვისების, ხოლო პროფესიული მომზადების ფუნქციების მხოლოდ მეწარმეების ან უშუალოდ მოქალაქეების ზრუნვის საგნად ქცევის სურვილი;
- ▶ ამჟამად, აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე პროფესიული განათლების პოლიტიკის მიმართ სისტემური, ფუნდამენტალური ხასიათის ანალიტიკური მიდგომის გარეშე, მოხდა ამ სფეროს განვითარების აუცილებლობის დეკლარირება და სეგმენტალურად სასწავლო დაწესებულებების ნაწილის მოწესრიგების დაწყება.

დასკვნა: ათეული წლების განმავლობაში სახელმწიფოს მიდგომა პროფესიული განათლების მიმართ და უშუალოდ პოლიტიკა ამ სფეროში არ იყო თანმიმდევრული, არ ეყრდნობოდა ანალიტიკურ მიდგომებს, უმეტეს შემთხვევაში იყო ვოლუნტარისტული და ამის გამო ვერ შეიძინა როგორც ქვეყნის მიმდინარე ეტაპისთვის, აგრეთვე სტრატეგიული სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების განხორციელებისთვის საჭირო სისტემური ხასიათი. ამის შედეგად აღნიშნული პერიოდის მანძილზე პროფესიული განათლების სისტემა ადეკვატურად ვერ პასუხობდა თვითოეული კონკრეტული ეტაპის და მომავალში მოსალოდნელ გამოწვევებს.

1.2. საკანონმდებლო - ნორმატიული ბაზა:

- საქართველოს კონსტიტუციის 35 მუხლი.

35 - ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს: ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

35 - ე მუხლის მესამე პუნქტი: სკოლამდელ აღზრდას უზრუნველყოფს სახელმწიფო. დაწყებითი განათლება სავალდებულოა. სახელმწიფო თავის ხარჯზე

უზრუნველყოფს საბაზო განათლებას. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში **სახელმწიფო სასწავლებლებში** უფასოდ მიიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება.

ანუ საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული მუხლის მესამე პუნქტით დადგინდა, რომ მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს პროფესიული განათლება, ხოლო ამ ნორმის განხორციელებასთან დაკავშირებით არ განისაზღვრა სახელმწიფოს ან/და სხვა ინსტიტუციების ვალდებულება და მოვალეობა. მოქალაქის ამ უფლების რეალიზაციის უზრუნველყოფის დადგენა გადამისამართდა კანონზე „პროფესიული განათლების შესახებ“, მაგრამ ამ საკანონმდებლო აქტის მიერ სახელმწიფოს ან რომელიმე ინსტიტუციის ვალდებულები არ განისაზღვრა.

დასკვნა: საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული მუხლის ფორმულირება ჩამოყალიბებულია ძალიან ზოგადად, მაგალითად ადამანის საყოველთაო უფლებების დეკლარაციის ან სხვა საერთაშორისო აქტების დეფინიციების დონეზე და ანალოგიით. მესამე პუნქტი მხოლოდ აფიქსირებს მოქალაქის მიერ პროფესიული განათლების მიღების უფლებას და არ სახავს ამ უფლების განხორციელების მექანიზმს, არ განსაზღვრავს სახელმწიფოს თუ სხვა ინსტიტუციების ვალდებულებას თუ მოვალეობას. ამის ნაცვლად აფიქსირებს ამ ფუნქციის გადაბარებას შესაბამისი დარგობრივი კანონის მისამართით.

- **კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“.**

საქართველოს კანონმა „პროფესიული განათლების შესახებ“ /2007 წ./ აგრეთვე ვერ შეასრულა თავისი უპირველესი ამოცანა, ანუ ვერ განსაზღვრა მოქალაქის მიერ პროფესიული განათლების მიღების უფლების უზრუნველყოფის მექანიზმი და ამ მხრივ ვალდებულების მქონე ინსტიტუციები.

კერძოდ, მეშვიდე მუხლის 1 - ი პუნქტი ადგენს : „ყველას აქვს **უფლება**, მიიღოს პროფესიული განათლება, რათა შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია პროფესიული საქმიანობისათვის.“

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად მიჩნეულ იქნა „დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი /1998 წ./ , რომელშიც შეიძლება არასრულყოფილად, მაგრამ მაინც იყო დაზუსტებული პროფესიული განათლების მიღების პირობა.

იმავდროულად, რაც მთავარი და დიდად მნიშვნელოვანია, მოქმედი კანონი არ აყალიბებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილების საჭირო პირობებს, რათა პროფესიული განათლების სისტემა ადეკვატურად პასუხობდეს რეალურ გამოწვევებს, ქვეყნის, კონკრეტული რეგიონის, დარგის თუ მოქალაქის მოთხოვნებს და მათ რეალიზაციისთვის ხელს უწყობდეს სისტემის ქმედითუნარიან ეფექტურობას, იმას, რომ რთულ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში საჯარო თუ კერძო სასწავლებელი გახდეს უფრო მოქნილი, მობილური.

დასკვნა: ამჟამად მოქმედ კანონში ფაქტირად განმეორებულ იქნა კონსტიტუციის მუხლის დეფინიცია და არ დადგინდა მოქალაქისთვის მიკუთვნილი უფლების განხორციელების ნორმა და არ განისაზღვრა მისი

რეალიზაციის მექანიზმი. მოქალაქისთვის გაურკვეველი რჩება - ვინ და რა სახით უნდა უზრუნველყოს მისი უფლების განხორციელება: სახელმწიფომ, მასთან ერთად ან მის გარეშე რომელიმე კერძო ან საზოგადოებრივმა ინსტიტუციამ, თუ უშუალოდ თვით მოქალაქემ. იმავდროულად, კონსტიტუციისგან განსხვავებით პროფესიული განათლების ხელმისაწვდომების განსაზღვრის ნაცვლად კანონში დაემატა დეკლარაციული ხასიათის, მაგრამ მაინც შემზღუდავი განმარტება: .. „რათა შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც **აუცილებელია** პროფესიული საქმიანობისათვის“. მსოფლიო თანამეგობრობის მიერ დასახული გეზის და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ინტერესების, მოქალაქის და დამსაქმებელი მეწარმის წინაშე მდგარი გამოწვევის გათვალისწინებით ამ მუხლის ფორმულირება ითხოვს დაზუსტებას, ან პრინციპულად ახალ რედაქციას.

სისტემის მართვის თვალსაზრისით კანონი არ აყალიბებს პროფესიული განათლების განვითარებისთვის რეალურად საჭირო პირობებს: უმეტესწილად არ ემსახურება მართვის დემოკრატიზაციის პროცესს, აგებულია ცენტრალიზაციის პრინციპებისკენ მისწრაფებაზე. მისი დებულებების უმეტესი ნაწილი ატარებს დეკლარაციულ ხასიათს: მაგალითად, კანონი მხოლოდ სურვილის დონეზე, ფორმალურად აფიქსირებს სოციალური დიალოგის აუცილებლობას, მექანიზმის არასრულყოფილების და მასტიმულირებელი ნორმების არ არსებობის გამო ხელს არ უწყობს სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტის დამკვიდრებას და მის ქმედითუნარიანობას. არ აყალიბებს პროფესიულ განათლებაში კერძო და არასახელმწიფო ინსტიტუტების აქტიური ჩართვას და კერძო ინიციატივის სტიმულირების მექანიზმებს, ფორმალიზებული, ჭარბი ბიუროკრატიის შემოღებით ზღუდავს ცვალებად გამოწვევებზე მათი მხრიდან სწრაფი რეაგირების შესაძლებლობებს. ამგვარი მიდგომა შემდგომ აისახა კანონქვემდებარე აქტებში: ნორმატიული რეგულირების არსი აგებულია არა ნებართვის დართვის, არამედ აკრძალვის სურვილზე. კანონი მიზნად ისახავს შემზღუდავი ნორმების დაწესებას და რეგულირების მექანიზმების ცენტრალიზებული სქემებით აგებას, ანუ ბიუროკრატიულ მარწუხებში მოქცევას, სამინისტროს ქვედანაყოფების უფლებების დადასტურებასა და გაძლიერებას, მინიმუმამდე დაყავს თვით სასწავლებლების რეალური მონაწილეობა და ფუნქციები. თვითმართველობის, ნორმატიული რეგულირების, სოციალური პარტნიორობის და რიგ სხვა საკითხში სასწავლო დაწესებულების ავტონომიურობა ფაქტიურად ბუტაფორიად არის ქცეული. მაგალითად, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობას, აგრეთვე სოციალურ პარტნიორობებს ფაქტიურად ადგენს სამინისტროს ერთ-ერთი ქვედანაყოფი, სასწავლებლის საქმიანობის გარკვეული მიმართულებები უნდა ხორციელდებოდეს სამინისტროს ზოგჯერ არამიზნობრივი სამსახურის ნებართვის შედეგად.

რიგი დებულებების გამო კანონი არ ქნის პროფესიული განათლების თავისუფალ სივრცეში განვითარებისთვის საჭირო პირობებს, პირველ რიგში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით სისტემის ფინანსირების

წყაროების დივერსიფიცირების და ამისთვის საჭირო სტიმულირების მექანიზმების ჩამოყალიბება-ამოქმედებას, მაგალითად, საჯარო სასწავლებლების ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურების, თუ სასწავლო-საწარმოო საქმიანობის განხორციელების კუთხით (შემზღვედავი ნორმები, სავალდებულო შეთანხმებები, ნებართვები) ან კერძო სექტორის აქტიურობის სამოტივაციო სტიმულების შექმნის თვალსაზრისით.

კანონში მრავალი ცვლილებების შეტანის (და მინისტრების დაუსრულებელი ცვლის) კვალდაკვალ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრუქტურა მრავალჯერ იქნა გადაწყობილი. სამწუხაროდ, ამ რეორგანიზაციების შედეგად და პროფესიული განათლების მნიშვნელობის, მართალია ზეპირი და არა კანონის დონეზე, დეკლარირების მიუხედავად თვით სამინისტროს სტრუქტურაში არ დარჩა დარგში არსებული მდგომარეობის და ტენდენციების ანალიზის, მის საფუძველზე პოლიტიკის რეალიზაციისა და სარეფორმო ღონისძიებების განხორციელების კოორდინაციის მცირე ერთეულიც კი. ამის ნაცვლად მოხდა ზოგ შემთხვევაში ფუნქციების სამინისტროს ქვედანაყოფებზე დაუსაბუთებელი გადამისამართება და მრავალი მიმართულებით სასწავლებლების ავტონომიური უფლებების ხარჯზე უკიდურესი ცენტრალიზაცია.

1.3. პროფესიების სტანდარტები, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტები.

2010 წელს მომზადდა პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო ნუსხა (კლასიფიკატორი). 2011 წლისთვის მოხდა პროფესიული სტანდარტების ნაწილის და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის შედგენა (იხ. 2011 წლის ამგარიში). იმავდროულად ამ ანგარიშიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტიურად გაუაზრებელი დარჩა და არ განისაზღვრა „პროფესიული“, ანუ პროფესიის და „პროფესიული საგანმანათლებლო“ სტანდარტების ფუნქციისა და დანიშნულების სხვაობა.

დასკვნა: სარეფორმო ღონისძიებების დამგეგმავებს არ დაუდგენიათ პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების, მათი ფუნქციების და დანიშნულების სხვაობა და ის, რომ საყოველთაოდ აღიარებული მიდგომებით, საგანმანათლებლო ეფუძნება პროფესიის ზოგად სტანდარტს. (შედარებისთვის შეგიძლიათ იხილოთ ILO-ს პროფესიების და, მაგალითად, BIBB- ის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო სტანდარტები). მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო გარკვეული რომელი ინსტიტუციების ფუნქციას წარმოადგენს თვითოეული მათგანის შემუშავება 2010 წლიდან პროფესიული განათლების რეფორმის ფინანსირების ფარგლებში შედგენილ და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ იქნა 226 (???) პროფესიული სტანდარტი. (ამ ვადაში და რეალურად არსებული ძალებით ამ რაოდენობის სრულფასოვანი სტანდარტების შემუშავება ძალზე რთული და თითქმის შეუძლებელია) რაც ძალზე მნიშვნელოვანია, არ იყო გათვალისწინებული, რომ ქვეყანაში სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემის უქონლობის ვითარებაში, ანუ

მოწყობილობა-დანადგარების, ინსტრუმენტების მასალა-ნედლეულის, ტექნოლოგიური პროცესების სტანდარტების უქონლობის პირობებში შეუძლებელია სრულფასოვანი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების დადგენა. ამგვარ პირობებში დასაშვები იყო მხოლოდ საერთაშორისო (მაგალითად 90-ზე მეტ ქვეყანაში აღიარებული) ISO სტანდარტებზე დაყრდნობით, დროებითი სარგებლობის მარეგულირებელი ნორმატივების შედგენა. ჩვენთვის გაუგებარი რჩება, შემუშავების შემდეგ რა მოტივით 2011 წელსვე ETF-ის მხარდაჭერით დაიწყო ახალი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა პროფესიული სტანდარტების გადახედვას და პროგრამების შემუშავებას.


ამავე პერიოდში აგრეთვე შემუშავებულ იქნა პროფესიული სასწავლო დაწესებულების მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი. სამწუხაროდ სტანდარტის შემუშავების მეთოდოლოგიური მიდგომები გაუგებარია, ვინაიდან ის არ ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას. აღნიშნული სტანდარტის შესაბამისად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ტრენინგ - მოდულებით პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის ჩატარდა 2 დონის ტრენინგი. როგორც ტრენინგების თემატიკიდან ირკვევა მათი ჩატარება იყო ფორმალური ხასიათის ვინაიდან მ იმზადდა არა მიზნობრივად, პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, არამედ იმ მიდგომებით და მასალების გამოყენებით, რომლებიც ულვე შემუშავებული იყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლებისთვის. („...ტრენინგები ჩატარდა საქართველოს მასშტაბით არსებული სახელმწიფო (?) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომელთა რაოდენობა 500 (???) შეადგენს“ - ტექსტი ამოღებულია ოფიციალური ანგარიშიდან)

2. პროფესიული განათლების სისტემის მდგომარეობა.

/საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით/

2.1. სასწავლო დაწესებულებათა ქსელი

საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, ერთეული



შენიშვნა: 2009 წლის შემდგომი მონაცემები საქსტატს არ გააჩნია და არ გამოუქვეყნებია. პროფესიული განათლების სისტემიდან მოპოვებული მონაცემებით ქსელის ოპტიმიზაციის შედეგად სასწავლებელთა რაოდენობა შემცირდა 80 ერთეულით და 2012 წელს ის შეადგენს 16 სასწავლებელს.

კერძო საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები			
სასწავლო წლის დასაწყისისათვის, ერთეული			
	დაწესებულებების რიცხვი	მოსწავლეთა რიცხოვნობა	
		სულ	მათ შორის სწავლობენ დღის განყოფილებაზე
2005/2006	67	7491	7491
2006/2007	78	10578	10578
2007/2008	71	7658	7658
2008/2009	4	434	434

შენიშვნა: 2009 წლის შემდგომი მონაცემები საქსტატს არ გააჩნია და არ გამოუქვეყნებია.


- ❖ სამოსწავლო ადგილების ანალიზის გაკეთება წლების დინამიკაში გახდა შეუძლებელი გარკვეული პერიოდის სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო.

დასკვნა: პროფესიული განათლების სისტემიდან მოპოვებული მონაცემებით ქსელის ოპტიმიზაციის შედეგად სასწავლებელთა რაოდენობა შემცირდა 80-ერთეულით. ამჟამად სულ დარჩა 14 ერთეული, აქედან: 5 ავტორიზებული და 9 „სასწავლო წლის დაწყებამდე ავტორიზებულად ჩათვლილი სახელმწიფო პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯი“. კერძო პროფესიული სასწავლებლების - 63 ერთეულით, ხოლო შემდგომ პერიოდში სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და ა.შ. ანუ ტექნიკური განხრის სასწავლო დაწესებულებების რაოდენობის შემცირების ფონზე კერძო სასწავლებლების ნუსხის შევსება მოხდა კულტურის, მედიცინის და სხვა მიმართულებით მომუშავე კურსების ან სასწავლებლების დამატებით.

ამ წლებში, პროფესიული განათლების სისტემის საფუძვლიანი ანალიზის გარეშე, რეფორმის ფარგლებში განხორციელდა სასწავლებლების ქსელის ოპტიმიზაცია: ამ პროცესში არ იყო გათვალისწინებული კონკრეტული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები, ტერიტორიული და დარგობრივი პროფილით განლაგების საჭიროება, დემოგრაფიული ვითარება, მიგრაციის მდგომარეობა და რეგიონალურ ბაზარზე უმუშევრობის დონე, მოთხოვნილი ცოდნის, კვალიფიკაციების, უნარების თვალსაზრისი. ამით ფაქტიურად უგულველყოფილ იქნა საქართველოს კონსტიტუციის 31 მუხლი: „სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის...“. გატარებული ზომების შედეგად ჩამიყალიბდა ქსელის განლაგების გაუმართლებელი დისპროპორცია. მაგალითად, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო სვანეთის მთიანი რეგიონები დარჩნენ ქსელით დაფარვის გარეშე, ხოლო სოფლის მოსახლეობის დიდი მოცულობის

მქონე სამეგრელოს, შიდა ქართლის, იმერეთის რეგიონში დატოვებულ იქნა მხოლოდ ქალაქის პროფილის თითო სასწავლებელი.

2.2. მოსწავლეთა კონტინგენტის ანალიზი /ტენდენცია 2000 – 2008 წ. დინამიკაში/.




შენიშვნა: შემდგომი მონაცემები საქსტატს არ გააჩნია და არ გამოუქვეყნებია.

დასკვნა: სისტემიდან მოპოვებული მონაცემებით ოპტიმიზაციის და სარეფორმო ღონისძიებების გატარების შედეგად მოსწავლეთა კონტინგენტი (2012 წელს 2000 წელთან შედარებით) შემცირდა 20 000; კერძო სექტორში 7000-ით, ანუ 15 ჯერ. კერზო სასწავლებლებში ამ ჭრილში ჩამოყალიბებული ვითარება უცნობია.

მოსწავლეთა კონტინგენტის მხრივაც სარეფორმო პროცესმა მოახდინა არასასურველი გავლენა: 30 რაიონის ახალგაზრდობისთვის პროფესიული განათლების მიღება გახდა ხელმიუწვდომელი. შეუსაბამობა და დისპროპორცია შეიქმნა მოსამზადებელი და რეგიონების ნაწილისთვის ტრადიციულად აქტუალური პროფესიების დარგობრივ ჭრილშიც. სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის და შრომისუნარიანი მოსახლეობის, მათ შორის ახალგაზრდობის დაუსაქმებლობის მზარდი ტენდენციის გათვალისწინებით, სხვა მიზეზებთან ერთად (სამუშაო ადგილების, თვითდასაქმებისთვის პირობების შეუქმნელობა) შექმნილი ვითარება შეიძლება შეფასდეს შიდა და გარე მიგრაციისა და უმუშევრობის შემდგომი ზრდის გამომწვევ მიზეზად. ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენენ ტრადიციულად აგრარული და მალაღმთიანი რაიონები.

2.3. პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ანალიზი /2000 – 2008 წ./



❖ მოსამზადებელი პროფესიების ანალიზი წლების დინამიკაში შეუძლებელი გახდა ოფიციალური მონაცემთა ბაზის არარსებობის გამო.

კურსდამთავრებულთა რაოდენობა საშუალო პროფესიული განათლებით სწავლების სახეების მიხედვით			
	სულ	გამომწვეულია	
		მათ შორის	
		დღის	დაუსწრებელი
სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან			
2000	7445	6492	953
2001	7489	7050	439
2002	6300	6003	297
2003	5456	5180	276
2004	5457	5312	145
2005	4937	4827	110
2006	5580	5407	173
2007	5986	5828	158
2008	4036	3835	201
მათ შორის ფასიანი ჯგუფებიდან			
2000	1971	1971	-
2001	2262	2233	29
2002	1997	1882	115
2003	1865	1764	101
2004	2020	1893	127
2005	1797	1758	39
2006	2067	1897	170

2007	2380	2329	51
2008	1282	1232	50
კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან			
2000	1460	1460	-
2001	1272	1272	-
2002	1629	1629	-
2003	1679	1679	-
2004	2178	2178	-
2005	2102	2102	-
2006	2656	2656	-
2007	4101	4101	-
2008	110	110	-


შენიშვნა: შემდგომი მონაცემები საქსტატს არ გააჩნია და არ გამოუქვეყნებია.

დასკვნა: 2008 წელს (2000 წელთან შედარებით) კურსდამთავრებულთა რაოდენობა შემცირდა 6100, ხოლო კერძო სასწავლებლებიდან 1300 კაცით.

სისტემიდან მოპოვებული მონაცემებით ოპტიმიზაციისა და სარეფორმო ღონისძიებების გატარების შედეგად სახელმწიფო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რიცხვი 2012 წლისთვის შემცირდა 3746, ხოლო კერძო სასწავლებლებიდან მონაცემები - უცნობია.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ ამის გამო რეგიონების დიდ ნაწილში წარმოიშვა რიგი პროფესიების კვალიფიცირებული სპეციალისტების დეფიციტი. მაგალითად, ხარატი, ზუსტი სმუშაობის ზეინკალი, მღარავი, მექანიკოსი და ა.შ.

2.4. პროფესიულ სასწავლებლებში პედაგოგების რაოდენობა /2006 – 2009 წ./



- ❖ 2009 წლის შემდგომი მონაცემები საქსტატს არ გააჩნია და არ გამოუქვეყნებია, ხოლო სხვა წყაროებშიც მონაცემთა ბაზის არარსებობის გამო 2012 წლამდე დინამიკაში ანალიზის გაკეთება შეუძლებელი გახდა.

საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგიური პერსონალი						
სასწავლო წლის დასაწყისისთვის						
	სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებები			კერძო სასწავლო დაწესებულებები		
	2006/2007	2007/2008	2008/2009	2006/2007	2007/2008	2008/2009
პედაგოგიური პერსონალი, სულ	3158	1908	803	1646	1313	70
მათ შორის: შტატით	2197	1385	325	617	441	50
შემთავსებელი	961	523	478	1029	872	20

დასკვნა: 2009 წლის შემდგომი მონაცემები საქსტატს არ გააჩნია და არ გამოუქვეყნებია. ოპტიმიზაციის და სარეფორმო ღონისძიებების გატარების შედეგად 2008/2009 წელს (2006 წელთან შედარებით) სახელმწიფო სასწავლებლების პედაგოგთა რაოდენობა შემცირდა 2355, ხოლო კერძო სასწავლებლებიდან 617 კაცით. შემდგომი პერიოდის მონაცემები უცნობია.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების სასწავლებლების პედაგოგიურ პერსონალთან დაკავშირებით გაუაზრებლად გატარებულმა ღონისძიებებმა სისტემას მიაყენეს რთულად აღსადგენი ზიანი: ფაქტიურად შენარჩუნების და პროფესიული დონის ამაღლების ნაცვლად მოხდა სპეციალური საგნის მასწავლებლების და ინსტრუქტორების (ოსტატების) თითქმის სრული შემადგენლობის დაკარგვა, ხოლო კვალიფიციციური კადრების ღირებულ კორპუსის აღდგენა, მისი მომზადების შესატყვისი კერების უქონლობის გამო, ძალზე რთულ ამოცანას წარმოადგენს.

3. შრომის ბაზარი და პროფესიული განათლების სისტემა.

ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით 2011 წელს საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 4 მილიონ 469.2 ათას კაცს, აქედან ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) - 1 მილიონ 959.3 ათას (65,2 %), ხოლო უმუშევართა რაოდენობა - 259.1 ათას კაცს, ანუ 15,1 %.

3.1. მონაცემები 15 დან 30 წლამდე ახალგაზრდობის თაობაზე:

სულ - 1 მილიონ 42. 6 ათასი, აქედან დასაქმებული - 276. 3 ათასი.
 /15-19 წ. - სულ: 322.2; დასაქმებული: 33.7, უმუშევრობის დონე - 33.4%/;
 /20-24 წ. - სულ: 368.2; დასაქმებული:104.7, უმუშევრობის დონე - 36.3%/;
 /25-29 წ. - სულ: 352.2; დასაქმებული:137.9, უმუშევრობის დონე - 25.0%/.

15-დან 30-მდე წლის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით ასაკობრივ ჯგუფში (2011 წ.)	15-19	20-24	25-29
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	50.6	164.4	183.8
დასაქმებული	33.7	104.7	137.9
დაქირავებული	5.3	45.9	73.1
თვითდასაქმებული	28.2	58.1	64.2
გაურკვეველი	0.3	0.7	0.6
უმუშევარი	16.9	59.7	45.9
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	218.3	101.5	59.8
უმუშევრობის დონე	33.4%	36.3%	25.0%
აქტიურობის დონე	18.8%	61.8%	75.5%
დასაქმების დონე	12.5%	39.4%	56.6%

დასკვნა: ოფიციალური სტატისტიკის 2011 წლის მონაცემებით: 15-დან - 30 წლამდე ასაკის დაუსაქმებელი ახალგაზრდობის რიცხვი წარმოადგენდა 122.500 კაცს, ანუ უმუშევართა თითქმის ნახევარს (47%). იმავდროულად ბოლო ათი წლის განმავლობაში, ყოველწლიურად 15-18 წლის ასაკის 20 ათასზე მეტი ახალგაზრდა არ აგრძელებდა სწავლას შემდგომ საფეხურზე და ავსებს უმუშევართა რიცხვს. ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ახალგაზრდობის უმუშევრობის და მისი ხვედრითი წილი ზრდა წარმოადგენენ ძალზე მნიშვნელოვან, საგანგაშო სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაში სხვა საჭირო ზომების გატარებასთან ერთად გააზრებულად აწყობილ პროფესიული განათლების სისტემას შეუძლია ძალზე მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება.

სამწუხაროდ სარეფორმო ღონისძიებების დაგეგმვის და განხორციელების შედეგად არ იქნა მიღწეული შრომის ბაზრის მოთხოვნების და პროფესიული განათლების სისტემის შესაძლებლობების თანხვედრა და პრაქტიკული საქმიანობის სრულფასოვანი, ორგანული შერწყმა. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იქნება რეგიონალურ - დარგობრივ ჯგუფში არსებული ვითარების შესწავლა და სისტემური ხასიათის ღონისძიებების გატარება, მათ შორის უმუშევარი მოსახლეობის თვითდასაქმების თვალსაზრისით და სოციალური დაცვის ხელშეწყობის მიზნით სისტემის ამოცანების განსაზღვრა. აღნიშნულ ანალიზზე დაყრდნობით, რეგიონების და დარგების განვითარების ამოცანების შესაბამისად სასწავლო დაწესებულებების ქსელის ოპტიმალური განლაგება, ხოლო მოსამზადებლად მიმდინარე ეტაპზე მოთხოვნილი და დეფიციტური, სტრატეგიული თვალსაზრისით კი რეგიონისთვის და დარგისთვის პრიორიტეტული პროფესიების დადგენა. აგრარული პოტენციალის მქონე რეგიონებში აქცენტი ფერმერული მეურნეობის მქონე მოსახლეობისთვის საჭირო ცოდნის და პრაქტიკულად გამოსაყენებად უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე უნდა გაკეთდეს, აგრეთვე გასათვალისწინებელია გადამამუშავებელი წარმოებების ამოქმედებისთვის საჭირო კვალიფიცირებული კადრების მიზნობრივი მომზადება.

II. პროფესიული განათლების სისტემის ტრანსფორმაციის 12 ძირითადი მიმართულება:

- 1) ტექნიკური და პროფესიული განათლების და მომზადების პოლიტიკაში;
- 2) სისტემის რეორგანიზაციის პროცესის თვალსაზრისით;
- 3) ეკონომიკის მოთხოვნებზე რეალური ორიენტაციისთვის;
- 4) სოციალური მიზნების რეალიზაციისთვის;
- 5) სისტემის მომცველი და მობილური ხასიათის მიღწევისთვის;
- 6) მოსწავლეთა შესაძლებლობების გაფართოებისთვის;
- 7) თეორიული და პრაქტიკული სწავლების ორგანიზაციის და შინაარსის სრულყოფისთვის;
- 8) მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა სათანადო პროფესიული დონის მიღწევისთვის;
- 9) ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების სისტემის სამსახურში ჩაყენებისთვის;
- 10) პროფესიული განათლების სისტემის მართვის სრულყოფისთვის;
- 11) პროფესიული განათლების შერჩეული მოდელის შესაბამისი სტანდარტების შემოღების თვალსაზრისით;
- 12) ფინანსირების მექანიზმის, სასწავლო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით.

1. ტექნიკური და პროფესიული განათლების და მომზადების პოლიტიკაში.

ა) **პოლიტიკის ფორმირების მიზნით** : ეკონომიკის რთული მდგომარეობის და მასშტაბური გამოწვევების, პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნების, ანუ განსხვავებული სცენარების პირობებში სისტემის ადაპტაციის პოლიტიკა უნდა გახდეს უფრო მოქნილი. ამისთვის პირველ რიგში ჩამოსაყალიბებელია მკაფიო, სისტემური ხედვა, მიდგომები და პრინციპები, რომლებიც უნდა ეფუძნებოდნენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმდინარე და სტრატეგიულ ინტერესებს და მსოფლიო თანამეგობრობის „ათასწლეულის დეკლარაციაში“ განვითარებისთვის ფორმულირებულ ამოცანებს, აგრეთვე მესამე საერთაშორისო კონგრესის რეკომენდაციებს „ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და მომზადების ტრანსფორმაცია: შრომისა და ცხოვრებისთვის უნარების გამომუშავება“ (შანხაი, 2012 წ. 14-16 მაისი).

ქვეყნის ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, რომელიც ხასიათდება დიდი სოციალური უსამართლობით, აგრეთვე გაეროს, იუნესკოს, ევროკავშირის და რიგი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული გეზის გათვალისწინებით, ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემა უნდა იქცეს აღიარებულ პოლიტიკურ პრიორიტეტად. ამ შემთხვევაში ის რეალურად შეუწყობს ხელს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში

არსებული მრავალი სახის პრობლემების გადწყვეტას და მოთხოვნათა დაკმაყოფილებას.

შემუშავებულ პოლიტიკაში ხელისუფლების და მეწარმეთა ინსტიტუტების ერთობლივი ძალისხმევა უნდა ემსახურებოდეს უნარების მიმართ შრომის ბაზარზე არსებული და მომავალი მოთხოვნების გამოვლენის და დაკმაყოფილების მექანიზმების და ინსტრუმენტების განვითარებას, უზრუნველყოფდეს სწრაფი ცვლილებების პირობებში ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების აქტუალურობას.

ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და მომზადების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში, შემდგომ კანონმდებლობაშიც გასათვალისწინებელია:

- ✓ საერთაშორისო კონგრესის რეკომენდაციები ტექნიკური და პროფესიული განათლების განვითარების და სრულყოფის თაობაზე (ბერლინი, 1987 წ.);
- ✓ კონვენცია ტექნიკური და პროფესიული განათლების თაობაზე (1989);
- ✓ მეორე საერთაშორისო კონგრესის რეკომენდაციები ტექნიკური და პროფესიული განათლების თაობაზე (სეული, 1999);
- ✓ გადამუშავებული რეკომენდაციები ტექნიკური და პროფესიული განათლების თაობაზე (2001);
- ✓ ბონის (გერმანია) დეკლარაცია შრომის, მოქალაქეობრიობისა და მდგრადობის თაობაზე (2004);
- ✓ მდგრადი განვითარების მიზნით განათლების თაობაზე ბონის (გერმანია) დეკლარაცია (2009);
- ✓ განვითარების სფეროში „ჯგუფი - 20“-ს მოქმედი გეგმა (სეული, 2010);
- ✓ გაეროს მიერ ვაჭრობისა და განვითარების თაობაზე ჩატარებული კონფერენციის მე-13 სესიის ფარგლებში ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მინისტრების თათბირის დეკლარაცია (დოხა, 2012 წლის აპრილი);
- ✓ მესამე საერთაშორისო კონგრესის რეკომენდაციები ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და მომზადების თაობაზე - „ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და მომზადების ტრანსფორმაცია: შრომისათვის და ცხოვრებისთვის უნარების გამომუშავება“ (შანხაი, 14-16 მაისი 2012 წ.)

ბ) *საქართველოს კონსტიტუციაში*. მსოფლიო თანამეგობრობის რეკომენდაციების, საქართველოს მიერ აღიარებული (და ასაღიარებელი) საერთაშორისო აქტების შესაბამისად საჭიროა შესატყვისი ფორმულირების შეტანა.

სასურველია: საბაზო ზოგადი განათლების დეფინიციის ანალოგიურად, მოქალაქის მიერ პროფესიული განათლების მიღების *უფლებასთან* ერთად განისაზღვროს *სახელმწიფოს მოვალეობის* (უზრუნველყოფის) დამდგენი ნორმა: მაგალითად:

„...მოქალაქეებს უფლება აქვთ სახელმწიფოს (ან: და ... თანამონაწილეობის) ხარჯზე, კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში ნებისმიერი იურიდიული პირის სასწავლებელში მიიღონ საბაზო პროფესიული განათლება.

წინა რედაქციისგან განსხვავებით: არ გამოიკვეთოს ამ უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა მხოლოდ „სახელმწიფო სასწავლებლებში“.

გ) კანონმდებლობაში. კანონში „პროფესიული განათლების შესახებ“ პროფესიული განათლების მიღების უფლების დამდგენი ნორმა უნდა დაზუსტდეს და განისაზღვროს შემდეგი სახით:

„პროფესიული განათლების მიღების მსურველს უფლება აქვს სახელმწიფოს (ან: და ... თანამონაწილეობის) ხარჯზე საჯარო, კერძო, ან არაკომერციული იურიდიული პირის სასწავლებელში (აქ შესაძლებელია კონკრეტული დაზუსტების დამატება: „ერთ პროფესიაში“ ან/და: „30 წლის ასაკამდე“) მიიღოს საბაზო პროფესიული განათლება.

ვინაიდან პროფესიული განათლების წინაშე დადგა თვისობრივად ახალი გამოწვევები და საჭირო გახდა, რომ ის ადეკვატურად პასუხობდეს ახალ ამოცანებს, მიზანშეწონილი იქნება პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის გადამუშავება. აღსანიშნავია, რომ **ორი წლის განმავლობაში კანონში შეტანილ იქნა 70-ზე მეტი ცვლილება, ხოლო 2010 წლის (07-21) ცვლილებების შედეგად ფაქტიურად შეცვლილია მისი ნახევარი მოცულობა.** დღეს კანონის დებულებები უნდა ამოიკითხო ექვსი საკანონმდებლო ცვლილებების აქტებიდან. ამ ცვლილებების შედეგად კანონი არ გახდა უფრო ადეკვატური არსებული გამოწვევების მიმართ, რეალურად ის უფრო დეფინიციების და განმარტებების კრებულია, ვიდრე გონიერი რეგულირების დამდგენი აქტი, ანუ კანონი ითხოვს პრინციპულ გადამუშავებას ან ახალი რედაქციის შემუშავებას საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის სულისკვეთების გათვალისწინებით : „სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში...“ და ამ მოთხოვნის რეალიზაციისთვის საჭირო მექანიზმების ასახვას.

შენიშვნა: პროფესიული განათლების უზრუნველყოფის ფუნქციის მთლიანად, ან ნაწილობრივად კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ სუბიექტებზე გადატანის შემთხვევაში საჭირო გახდება კონსტიტუციაში შესაბამისი ნორმების განსაზღვრა, აგრეთვე, კანონმდებლობაში ამ მოდელის ეფექტური ფუნქციონირებისთვის სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის და სტიმულირების მექანიზმების დაფიქსირება.

2. პროფესიული განათლების სისტემის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით:

- ▶ პირველ რიგში საჭიროა განისაზღვროს - რა სახის პოლიტიკა იქნება უფრო შედეგიანი ინსტიტუციონალურ დონეზე რეფორმის გატარებისთვის:
 - ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და მომზადების კომბინირებული სისტემის ფორმირებასა და სრულყოფაზე ორიენტირებული, თუ მხოლოდ პროფესიული მომზადების სისტემის ჩამოყალიბებაზე აქცენტირებული.
- ▶ არჩეული მიმართულების გათვალისწინებით სასწავლო დაწესებულებების მართვის ოპტიმალური მოდელის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.
- ▶ ძალზე მნიშვნელოვან, საკვანძო საკითხს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის და სხვა დაინტერესებული, მონაწილე სუბიექტების სახსრების ხარჯვის ადეკვატური

ბალანსის განსაზღვრა, რომელიც დამოკიდებული იქნება, ერთის მხრივ, არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე და მთავრობის პრიორიტეტებზე; ხოლო მეორეს მხრივ - სხვა მონაწილე სუბიექტების, დაინტერესებული მხარეების ინვესტიციების, მომგებიანობის სტიმულირებაზე.

▶ ტრანსფორმაციის ყველაზე სწრაფი და პროდუქტიული გზა არის ევროპის მოწინავე ქვეყნების (გერმანია, ავსტრია, ფინეთი, შვედეთი, ირლანდია, ჰოლანდია) პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება და ჩვენი ქვეყნისთვის მოსარგები სისტემის მოდელის შერჩევა, მისი ფუნქციების უზრუნველყოფის სრული პაკეტის (საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების ძირითადი პრინციპების, სტანდარტების, სასწავლო გეგმების, პროგრამების, სახელმძღვანელოების, დამხმარე მასალების და ა.შ.) ადაპტირება და დამკვიდრება.

▶ **სასურველია:** სისტემის ჩამოყალიბება ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და მომზადების სახით და მსოფლიო თანამეგობრობაში აღიარებული გრადაციის გაზიარება:

- ტექნიკური განათლება,
- პროფესიული განათლება /კულტურის, მედიცინის და ა.შ. დარგებისთვის/,
- მომზადება - გადამზადების სისტემა.

შესაბამისად სასწავლო დაწესებულების ტიპების ჩამოყალიბება:

მაგალითად,

- ტექნიკური კოლეჯი / მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის და ა.შ. დარგებისთვის/;
- საზოგადოებრივი კოლეჯი /კულტურის, მედიცინის და ა.შ. დარგებისთვის/;
- ტექნიკური/ ან პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი.

▶ ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის შერჩეული მოდელის გათვალისწინებით საკანონმდებლო - ნორმატიული ბაზის (კანონი, სტანდარტები და ა.შ.) შესატყვისობაში მოყვანა და ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით სისტემის ადგილის, ამოცანების და ფუნქციების დადგენა.

▶ **არჩეული გეზიდან გამომდინარე:** თუ დაისახა განათლებისა და მომზადების ფართო ამოცანა - განათლების სისტემაში დაქვემდებარება, ხოლო თუ მხოლოდ მომზადების ვიწრო ამოცანა - მაშინ დასაქმების სტრუქტურებთან ერთიანობაში მოქცევა. /განსაკუთრებით - სავაჭრო-სამრეწველო პალატების ინსტიტუციის შესაძლო შემოღების და დასაქმების სამსახურის ამოქმედების შემთხვევაში/ , შესაბამისად კონსტიტუციაში და კანონმდებლობაში ამის ასახვა და ფინანსირების წყაროების განსაზღვრა.

▶ არჩეული მოდელის მიუხედავად საჭირო იქნება სისტემის პრესტიჟის ამაღლება მოსწავლეების მიერ მოთხოვნილი ცოდნის და კვალიფიკაციების შეთავაზების მეშვეობით, აგრეთვე სასწავლო დაწესებულებების, საგანმანათლებლო

მომსახურების მიმწოდებელი სხვა პროვაიდერების ეფექტურობის და შედეგიანობის თვალსაზრისით. რაც მისაღწევია სამ ასპექტში:
პირველი - მასწავლებლის მიერ სწავლების და მოსწავლის მხრიდან შესწავლის პროცესის სრულყოფა;
მეორე - სწავლების შემდგომი ეტაპისკენ მსვლელობის გაურთულებლობა, გაიოლება;
მესამე - სისტემის, სასწავლო დაწესებულებების მაღალი შედეგიანობის მიღწევა შრომის ბაზრის მოთხოვნათა თვალსაზრისით.

- ▶ ტექნიკური და პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სწავლების პროგრამების შემუშავება-ფორმირება, აგრეთვე ისეთი უნივერსალური უნარების განვითარება, როგორცაა: პრობლემების გადაწყვეტის და კრიტიკული აზროვნების, სამეწარმეო და ქცევის მოდელის არჩევის, მდგრადი ცხოვრების წესის და ცხოვრების უზრუნველყოფის მიღწევის უნარები.
- ▶ სისტემაში ფორმალური და არაფორმალური განათლების და სხვა და სხვა ადგილებში ცხოვრების განმავლობაში სწავლების როლის გაძლიერება.
- ▶ სისტემაში სწავლების მოდერნიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია:
 - სისტემაში სამუშაო ადგილზე უწყვეტი სწავლების, მომზადება-გადამზადების ჩამოყალიბებისთვის ეროვნული სტრატეგიის და კოალიციის ფორმირება.
 - სასწავლებლებთან სასწავლო-საწარმოო ინკუბატორების მოდელის დანერგვა და ფორმალურ სექტორში შეგირდობის ფორმით მომზადების შემოღება;
- ▶ ეკონომიკის არაფორმალური სექტორის მიმართ სისტემაში არსებული მიდგომების შეცვლა, ანუ ამ მხრივ სახელმწიფო სასწავლებლების და კერძო პროვაიდერების ორიენტაციის შეცვლა მოსწავლეთა ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში მუშაობის თვალსაზრისით.
- ▶ **სასურველია:** პროფესიული განათლების კერძო პროვაიდერების სტიმულირების მიზნით სწავლების განხორციელების ნებართვის (გაურთულებელი ატესტაციის საფუძველზე) გაცემის, მათი საგანმანათლებლო საქმიანობის რეგულირების მაქსიმალური გამარტივება, იმავდროულად სახელმწიფო ვაუჩერით სასწავლებლად მიღების უფლების დადგენა, გარკვეული ვადით ქონების გადასახადისგან გათავისუფლება, ამ სახის საგანმანათლებლო საქმიანობისთვის დაბალპროცენტიანი კრედიტების შეთავაზება, და ა.შ.

3. ეკონომიკის მოთხოვნებზე რეალური ორიენტაციისთვის:

- ▶ ეკონომიკის მნიშვნელოვანი გამოწვევის საპასუხოდ საჭიროა ცოდნისა და უნარების მიწოდების და მათზე მოთხოვნების შესაბამისად მომზადების დონის ამაღლება. ტრადიციული პროგრამების ნაცვლად პროფესიულ დონეზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება, რომლებიც უნდა შეიქმნას

პარტნიორობის პროცესში, უშუალოდ სამუშაო ადგილიდან მიღებულ კონკრეტულ მოთხოვნილებათა საფუძველზე.

- ▶ საკვალიფიკაციო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო იქნება: ფორმალურ და არაფორმალურ შრომის ბაზარზე კვალიფიკაციებისა და მათთან შესატყვისობის გამოვლენის და საკვალიფიკაციო მოთხოვნათა პროგნოზირების გზების მოძებნა;
- ▶ იმ პოტენციალის (ცოდნა, უნარ-ჩვევები, ქცევითი განწყობა და ა.შ.) ამაღლება, რომლითაც კურსდამთავრებული შევა შრომის ბაზარზე.

4. სოციალური მიზნების რეალიზაციისთვის:

პროფესიული განათლების სისტემა მოწოდებულია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სოციალურად რთული სხვა და სხვა ვითარების განმუხტვის, შრომის და დასაქმების სფეროში შესვლის და ამ სფეროში შემდგომი წინსვლის თუ გადანაცვლების თვალსაზრისით.

სოციალური ამოცანების შესრულებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ▶ ადგილობრივი პირობების და სტრატეგიების საფუძველზე სისტემისთვის პრიორიტეტული სოციალური მიზნების გამოკვეთა;
- ▶ ამ ამოცანის რეალიზაციისთვის იმის ორგანიზება, რომ სისტემის სასწავლებლები, მაგალითად, ხალხური რეწვის სწავლების მეშვეობით ცოდნის და უნარების გადაცემის მეშვეობით კვებავდეს ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობას და ხელს უწყობდეს ადამიანების თვითდასაქმებას შინაური მცირე წარმოების პირობებში;
- ▶ გარდა ამისა სისტემის სასწავლებლებში სწავლების და მომზადების მეთოდების ადაპტაციის გზით ხდებოდეს ადამიანების სოციალურ ინტეგრაციაზე, სოციალურ ერთიანობაზე, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე და კეთილდღეობისკენ მისწრაფებაზე პოზიტიური გავლენა.

5. სისტემის მომცველი და მობილური ხასიათის მიღწევისთვის:

ამ მხრივ არსებობს პოლიტიკის რამდენიმე ვარიანტი, რომელიც უზრუნველყოფს, ან ქმნის პირობებს მოქალაქეებისთვის პროფესიული განათლების მისაწვდომობის თვალსაზრისით:

- ▶ პრიორიტეტული ჯგუფების და იმ პოლიტიკური მიდგომების გამოვლენა, რომლებიც ყველაზე ეფექტური გამოდგებიან ამ ჯგუფების სწავლებით მოცვის თვალსაზრისით.
- ▶ შრომის ბაზრის საგანმანათლებლო მომსახურებაზე მიმდინარე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მოკლევადიანი, ინტენსიური სწავლების განმახორციელებელი ფილიალების, ცენტრებისა თუ პუნქტების პროგრამის ხანგრძლივობით გახსნა ადგილობრივი მუნიციპალური დაწესებულებების, საწარმოების, ან სკოლების ბაზაზე.

- ▶ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის მიღწევა შეგირდობის თანამედროვე ფორმებით, უშუალოდ საწარმოში და სამუშაო ადგილზე პროფესიული მომზადების და გადამზადების, მომცველი შრომითი გარემოს მისაღწევად.
- ▶ პროფესიული განათლების ან მომზადების და გადამზადებისთვის მომცველი შრომითი გარემოს მიღწევის მიზნით კოლექტიური მიდგომების შესაძლებლობის მოძებნა, ხელშეკრულებების პრაქტიკის გამოყენება.

6. მოსწავლეთა შესაძლებლობების გაფართოებისთვის:

- ▶ ინფორმაციის, კონსულტაციის და რეკომენდაციების გაცემის სახით მომსახურების მიწოდება.
- ▶ პროფესიული სწავლების დაკავშირება საბაზო პროფესიულ და ცხოვრებისეულ უნარების შეძენასთან.
- ▶ სწავლებისთვის უფრო მოქნილი შესაძლებლობების თანმიმდევრობით და ეტაპობრივად გაზრდა, რომლებიც მეტად უზრუნველყოფენ მის შესაბამისობას მოსწავლეთა ცხოვრების განსხვავებულ სტილს.
- ▶ პროფესიული განათლების ხაზით სწავლებაში და კვალიფიკაციის მიღებაში ჩართვის მიზნით მოსწავლეთა სტიმულირების სისტემის გააზრება.

7. თეორიული და პრაქტიკული სწავლების ორგანიზაციის და შინაარსის სრულყოფისთვის.

- ▶ იმის გათვალისწინებით, რომ წლების განმავლობაში თვისობრივად არ შეცვლილა და არ გადამუშავებულა არც თეორიული და არც პრაქტიკული სწავლების ორგანიზაციის პრინციპები, მიდგომები, მეთოდოლოგია და ეს წარმოადგენს სისტემის სასწავლო დაწესებულებების საგანმანათლებლო საქმიანობის მნიშვნელოვან პრობლემას და იმავდროულად ქვეყანაში არ გაგვაჩნია ამ სფეროში მიმუშავე სამეცნიერო ან კვლევითი სპეციალიზებული ინსტიტუტები, ყველაზე ეფექტურ და შედეგის მომტან გზას წარმოადგენს ადაპტაციის შედეგად შერჩეული მოდელის შესაბამის პარტნიორ ქვეყანაში არსებული პრაქტიკის დანერგვა.
- ▶ სწავლების შინაარსობლივი მხარის სრულყოფა აგრეთვე წარმოადგენს სისტემის მეტად აქტუალურ და მტკივნეულ პრობლემას, ერთეული არაორიგინალური პროგრამების და სახელმძღვანელოების შექმნის ცალკეული მცდელობების გარდა წლების განმავლობაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა, სიტუაცია ხანგრძლივად იყო „გაყინული“ და ამ მხრივ შექმნილი სირთულეების მოგვარება უშუალოდ სასწავლებლებს ჰქონდათ მიბარებული. ქვეყანაში სათანადო სპეციალიზებული პოტენციალის უქონლობის გამო ამ პრობლემის ყველაზე სწრაფი და შედეგიანი მოგვარების გეზს პარტნიორი ქვეყნიდან მიღებული პროგრამების, სახელმძღვანელოების, დამხმარე მასალების თარგმნის და ადაპტაციის გზა წარმოადგენს.

8. მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა სათანადო პროფესიული დონის მიღწევისთვის:

იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების და ინსტრუქტორების სწავლებას, უნარების განვითარებას და პროფესიულ ზრდას წლების განმავლობაში არ ექცევა სათანადო ყურადღება მიზანშეწონილია:

- ▶ სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით მასწავლებლების და ინსტრუქტორების მიზნობრივი სპეციალიზაციის და მოვალეობათა წრის განსაზღვრა.
- ▶ სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე მასწავლებლების და ინსტრუქტორების პედაგოგიური საქმიანობის დაწყებამდე მომზადების ოპტიმიზაცია.
- ▶ მასწავლებლების და ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ამაღლების უწყვეტი სისტემის აწყობა.
- ▶ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მასწავლებლების და ინსტრუქტორების მონაწილეობის გაზრდა, პროფესიული ზრდის მართვის განვითარება და კარიერის ფორმირებაში მხარდაჭერის გაძლიერება.

9. ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების სისტემის სამსახურში ჩაყენებისთვის:

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული განათლების სრულყოფის და განვითარების ამ მეტად მნიშვნელოვანი მიმართულებით საქმიანობის ამოქმედებისთვის საჭიროა:

- ▶ შესაბამისი თანამედროვე საშუალებებით სასწავლო დაწესებულებების სრულფასოვანი აღჭურვა და იმ შესაძლებლობების, რომელსაც უზრუნველყოფენ ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები ოპტიმალური გამოყენება.
- ▶ ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების სწავლების ეფექტური და შედეგიანი მეთოდის შემუშავება (ან პარტნიორი ქვეყნის მეთოდის გამოყენება), ისეთი მიდგომებით, რომ ამ ტექნოლოგიებმა სასწავლო დაწესებულებებს გაუხსნან გზა ინოვაციებისკენ, მოსწავლეებს შეუქმნან ცხოვრების განმავლობაში პროფესიული სწავლებისთვის ღია ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით.
- ▶ ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების დაუფლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების და სამუშაო ადგილზე სწავლების ამ ტექნოლოგიების გამოყენებით უზრუნველყოფა.

10. პროფესიული განათლების სისტემის მართვის სრულყოფისთვის.

გამოსაყენებელია შემდეგი პოლიტიკური მიდგომები:

- ▶ გამართული პოლიტიკის გამომუშავების მიზნით საყრდენი ანალიტიკური და მტკიცებულებითი ბაძის შექმნა;
- ▶ რეფორმის ჩატარების მიზნით პოლიტიკური საფუძვლების განხორციელების სტრატეგიებთან მიბმა;

- ▶ ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და მომზადების საჯარო სასწავლო დაწესებულებების ოპტიმალური ქსელის ჩამოყალიბება, რეგიონალური და დარგობრივი განვითარების და დღევანდელი მოთხოვნილებების გათვალისწინებით რაციონალური განლაგება, კერძო სექტორის გაზრდაზე სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ზრუნვა;
- ▶ ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და მომზადების ქვეყნის განვითარების სტრატეგიის ელემენტად ქცევა;
- ▶ დაინტერესებული მხარეების აქტიურ პარტნიორობაში ჩართვა;
- ▶ დეცენტრალიზაციის თაობაზე და მისი განხორციელების მექანიზმებზე გადაწყვეტილების მიღება;
- ▶ ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების შემუშავება.

პრაქტიკული ნაბიჯები: ოპტიმალური დეცენტრალიზაციის, სოციალური პარტნიორობის პრინციპების დამკვიდრების პირობებში რეგიონალური მართვლობის, მეწარმეთა გაერთიანებების (ან სავაჭრო - სამრეწველო პალატების), პროფესიული კავშირების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა. მართვის პროცესის რეგულირებისა და კვოტირების პრინციპებზე გადაყვანა და ამისთვის საჭირო მექანიზმების ამოქმედება. უშუალოდ სასწავლო დაწესებულების დონეზე და მის მიერ მეურვეთა და არა დამკვირვებელთა საბჭოების (მეწარმეები, ადგილობრივი მართვის ორგანოები, დარგობრივი პროფკავშირი, პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეები) დაკომპლექტება.

სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით პროფესიულ სწავლებაზე დარგობრივ-რეგიონალური მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნილების გამოკვლევა, ამის გათვალისწინებით პროფესიული განათლების სასწავლებელთა ოპტიმალური განლაგების დადგენა და წამყვანი პროფილის განსაზღვრა, მოსწავლეთა კონტინენტის კვოტირების მეშვეობით რეგულირება. სწავლების ხარისხის შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა და პროცედურის რეჟიმის დადგენა.

11. პროფესიული განათლების შერჩეული მოდელის შესაბამისი სტანდარტების შემოღების თვალსაზრისით:

- ▶ დამდგენი ნორმატივების, სტანდარტების, სასწავლო გეგმების, პროგრამების, მეთოდის სრული პაკეტის გადმოღება, ადაპტაცია, დადგენა და დამკვიდრება. სახელმძღვანელოების და შემსწავლელი კომპიუტერული პროგრამების თარგმნა-ადაპტირება და სასწავლებისთვის მიწოდება.
- ▶ შესაბამისად სპეციალური საგნების მასწავლებლების და პრაქტიკული წრთვების ინსტრუქტორების (ოსტატების), სასწავლებელთა მენეჯერების სწავლება არჩეული მოდელის ქვეყანაში მომზადებული ტრენერების (trainer of trainers), ან იმ ქვეყნის senior expert - ების მეშვეობით და დახმარებით.

12. ფინანსირების მექანიზმის, სასწავლო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით:

იმის მიუხედავად, რომ პროფესიული განათლების ფინანსირების ვალდებულება პირველ რიგში ეკისრება სახელმწიფო ბიუჯეტს, იმის უზრუნველყოფისთვის, რომ ახალგაზრდობის და ზრდასრული მოსახლეობის მიიღონ სარგებელი პროფესიულ სასწავლებლებში საჭიროა:

- ▶ არსებული სახსრების მოცულობის მკვეთრი ზრდა და ამისთვის ფინანსირების ნოვატორული სქემების შემუშავება ხარჯების ოპტიმიზაციის და წარმოებებთან ერთად, ცალკეულ შემთხვევაში კი კერძო პირებთანაც ამ ტვირთვის წილობრივი განაწილების გზით.
- ▶ რესურსების მაქსიმალურად შესაძლებელი მოცულობების მობილიზაციის გზების მოძიება, საერთაშორისო დონორების და პროფესიული განათლების შედეგების მიმღები სუბიექტების ჩათვლით.
- ▶ შეზღუდული ფინანსური რესურსების სტრატეგიული მიზნობრივი დაგეგმარება.
- ▶ წყაროების და არხების მოძიების (პირდაპირი საბიუჯეტო, ან ვაუჩერებით შემოსული, აგრეთვე ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურებით, სასწავლო - საწარმოო საქმიანობიდან აკუმულირებული საკუთარი შემოსავლები, გრანტები, სპონსორების შემოწირულობა) და სასწავლო დაწესებულების ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის რეგულირების განსაზღვრა.
- ▶ პროფესიული განათლების ფინანსირების მექანიზმების ეფექტურობის, შედეგიანობის, აქტუალურობის და ანგარიშგების ოპტიმიზაციის თვალსაზრისით.
- ▶ არსებული შენობა-ნაგებობების შეკეთება ან მოდულის ტიპის ახალი ნაგებობების დადგმა და სასწავლო-ტექნიკური აღჭურვა შესაძლოა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტის (მათ შორის პროფესიული განათლების სისტემის გათავისუფლებული, გამოუყენებელი შენობების გაყიდვის შედეგად მიზნობრივად მოზიდული სახსრებით), საერთაშორისო გრანტების, კრედიტების, აგრეთვე მეწარმეთა გაერთიანებების, საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციების და ფონდების მიერ გამოყოფილი წილობრივი შენატანებით.
- ▶ საწარმოო პრაქტიკის გავლის უზრუნველყოფა უნდა ხორციელდებოდეს პარტნიორ საწარმოებში (სასწავლო უბნებზე, თუ სამოსწავლო ადგილებზე, სასწავლებელ ფირმებში და ა.შ.) ხელშეკრულების საფუძველზე ან უშუალოდ სასწავლებლების სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების, თუ ბიზნეს-ინკუბატორების ბაზაზე. (იხ. პროფესიული განათლების განვითარების პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმა).

